შესაბამისობის დეპარტამენტი

1. მიზანი

ამ პროცედურის მიზანია განსაზღვროს, თუ რა არის ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი გარემოებები, როგორ უნდა მოხდეს მართვა და კონტროლის დამყარება, რომ შემცირდეს რისკები, რომლებიც, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება წარმოიქმნას კომპანიის ბიზნეს საქმიანობაში.

2. გავრცელების ფარგლები

ეს პროცედურა ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელზე, რომელიც დასაქმებულია Aqualia ჯგუფის წევრ კომპანიაში, მათ შორის ფილიალებში, ასევე ინვესტიციის მიმღებ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში, რომელშიც Aqualia-ს აქვს საკონტროლო პაკეტი, და ამასთან, Aqualia-ს მოდელზე დაფუძნებული შესაბამისობის მოდელის დანერგვა დამტკიცებულია მათი დირექტორთა საბჭოს ან მმართველი კომიტეტის მიერ.

3. დოკუმენტები დამატებითი კონსულტაციისთვის

FCC ეთიკისა და ქცევის კოდექსი

FCC შესაბამისობის პოლიტიკა

FCC ანტიკორუფციული პოლიტიკა

FCC საჩუქრების შესახებ პოლიტიკა

FCC ტენდერში მონაწილეობის პოლიტიკა

FCC აგენტების შესახებ პოლიტიკა

Aqualia-ს ადგილობრივ და საერთაშორისო წარმომადგენლობაში დასაქმების პოლიტიკა

4. ტერმინთა განმარტება

ინტერესთა კონფლიქტი: არის გარემოება, როდესაც ჯგუფის წევრი კომპანიის სახელით Aqualia-ს თანამშრომლის ქმედება/გადაწყვეტილება შესაძლოა დაუპირისპირდეს (ან გავლენა იქონიოს) თანამშრომლის პირად ინტერესებს ან თანამშრომელთან დაკავშირებული პირების ინტერესებს, რომელმაც, თავის მხრივ, პოტენციურად შესაძლოა გავლენა მოახდინოს თანამშრომლის კეთილსინდისიერ გადაწყვეტილებაზე და Aqualia-ს ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე.

დაკავშირებული პირები: დაკავშირებული პირები არიან:

- თანამშრომლის მეუღლე ან მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი
- თანამშრომლის ან მეუღლის (ან მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირის) აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავები და და-ძმები.
- თანამშრომლის აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავების და და-ძმების მეუღლეები.
- მეგობრული ურთიერთობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ პროფესიულ ობიექტურობაზე და ჯგუფის საუკეთესო ინტერესებში მოქმედების ვალდებულებაზე.

5. გასათვალისწინებელი ზოგადი საკითხები

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება რეალიზდეს, როდესაც არსებობს გარემოებები (როგორიცაა პირადი ურთიერთობები ან ეკონომიკური ინტერესები), რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლის ობიექტურობაზე, ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობის დონეზე, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის თანამშრომლის მიერ თავისი ვალდებულებებისა და პროფესიული მოვალეობების შესაბამისად მოქმედებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ინტერესთა კონფლიქტის არსებობა არ გულისხმობს, რომ ის აპრიორი დასაგმობი ან დასჯადია, თუმცა, ამასთან, უმართავმა ინტერესთა კონფლიქტის გარემოებებმა შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს კომპანიის (და თავად თანამშრომლის) კეთილსინდისიერების საკითხი.

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება იყოს:

- **რეალური** - როდესაც არსებობს განსაკუთრებული ინტერესი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს არამართლზომიერი გავლენა თანამშრომლის პროფესიული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებაზე.
- **პოტენცური** - როდესაც თანამშრომელს აქვს განსაკუთრებული ინტერესი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის გადაწყვეტილებაზე, დაკავებული პოზიციის გათვალისწინებით, თუმცა ეს გარემოება ჯერ არ რეალიზებულა.
- **აღქმადი** - როდესაც თანამშრომელს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი - არც რეალური და არც პოტენციური - თუმცა, მესამე პირს შეუძლია გონივრულად დაასკვნას ან ივარაუდოს, რომ ინტერესთა კონფლიქტი არსებობს. ინტერესთა კონფლიქტი კლასიფიცირდება აღქმადად, როდესაც ყველა სათანადო ინფორმაცია წარდგენილია დასამტკიცებლად, რომ არ არსებობს რეალური ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი.
  მიუხედავად იმისა, რომ აღქმადი ინტერესთა კონფლიქტი არ შეიცავს რისკებს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, მან შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის რეპუტაციული რისკები, ამიტომ ყოველთვის აუცილებელია მათი გამოვლენა და საჭირო ინფორმაციის წარდგენა სრული გამჭვირვალობისთვის.

გარდა ამისა, რომ გააზრებული იქნას, თუ როგორ შეიძლება წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი, მნიშვნელოვანია ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი ფაქტორების ცოდნაც.

- **გარე ფაქტორები:** დაკავშირებულია Aqualia-ს თანამშრომლის მესამე პირებთან ურთიერთობასთან. ეს შეიძლება იყოს:
  - ოჯახი: მეუღლე, პარტნიორი, სისხლით ან საგვარტომო ნათესაობა.
  - ეკონომიკური: მესამე პირთან ეკონომიკური კავშირები, ობიექტის მართვა ან ეკონომიკური თანამონაწილეობა.
  - სხვა: გარკვეულ ვითარებაში შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი რეალიზდეს იმ ადამიანებთან მიმართებით, ვისთანაც ახლო ემოციური ურთიერთობა ან ოჯახური ურთიერთობაა, გარდა ზემოთ აღწერილისა.
- **შიდა ფაქტორები:** დაკავშირებულია კომპანიასთან, ეს შეიძლება იყოს:

- შეუსაბამო იერარქიული დამოკიდებულება, მაგალითად, როდესაც შიდა კონტროლის ფუნქცია ექვემდებარება ბიზნესის მიმართულებას.
- კონფლიქტური აქტივობების განხორციელება.

5.1. შემთხვევები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიქმნას ბევრ ვითარებაში და შეუძლებელია ყველა შემთხვევის ამომწურავად ჩამოთვლა. თუმცა, ქვემოთ მოცემულია რამდენიმე არაამომწურავი მაგალითი იმ სიტუაციების, რომელმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი:

- პირადად ან მესამე პირის მეშვეობით კომპანიის ტრანზაქციებსა და ოპერაციებში მონაწილეობა.
- FCC ჯგუფის რომელიმე კომპანიის სახელით თანამშრომლის მონაწილეობა გადაწყვეტილებაში, მოლაპარაკებასა ან შეთანხმებაში, რომელიც წარიმართება თანამშრომელთან დაკავშირებულ პირთან ან იურიდიულ პირებთან, რომლებშიც თანამშრომელს პირადად ან დაკავშირებული პირის მეშვეობით, აქვს ეკონომიკური ან პირადი ინტერესები.
- როდესაც თანამშრომელი, პირადად ან დაკავშირებული პირის მეშვეობი, FCC ჯგუფის რომელიმე კომპანიის კლიენტის, მომწოდებლის ან პირდაპირი ან არაპირდაპირი კონკურენტის მნიშვნელოვანი აქციონერი, აღმასრულებელი ან ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი ან მენეჯერია.
- თანამშრომლის მიერ საკომისიოების, ფასდაკლებების, საჩუქრების ან სხვა მომსახურების მიღება, რომლებიც არ არის ნებადართული FCC სასაჩუქრების შესახებ პოლიტიკის მიხედვით.
- როდესაც თანამშრომელი მასთან დაკავშირებული პირების სამსახურეობრივ საქმიანობას ან შესრულებას ზედამხედველობს.
- როდესაც ტენდერში გადაწყვეტილების მიმღები პრეტენდენტთან დაკავშირებული პირია.
- როდესაც აუდიტის, მარეგულირებლის ან ზედამხედველის ინსპექტირების დროს, მათი გუნდის წევრი თანამშრომელთან დაკავშირებული პირია.
- დაკავშირებული პირის თანამშრომლის იერარქიულად ან ფუნქციურად დამოკიდებულ პოზიციაზე წვდომა/დასაქმება.

6. ინტერესთა კონფლიქტის მართვა

6.1.ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა

შესაბამისობის დეპარტამენტი ყოველწლიურად მოითხოვს ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირებას ყველა იმ პირის მიერ, ვისი პოზიციაც Aqualia ჯგუფში გულისხმობს კომპანიის წარმომადგენლობას დირექტორთა საბჭოებში, მართვის კომიტეტებში, საჯარო დაწესებულებებში და სხვა ან/და თუ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა გადაწყვიტოს მესამე

მხარის დაქირავება და კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის გათვალისწინებით, იყოს გადაწყვეტილების მიმღები პირი.

ყოველწლიური კამპანიის მოსამზადებლად, შესაბამისობის დეპარტამენტი მოითხოვს დანარჩენ მენეჯმენტსა და ბიზნეს სფეროებთან თანამშრომლობას, რათა დადგინდეს ყველა ის პირი, ვინც უნდა შეავსოს დეკლარაცია.

დეკლარირება პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით მიმდინარეობს. თითოეულმა თანამშრომელმა კამპანიის დასაწყისიდან, რომლის შესახებაც სათანადოდ ეცნობებათ თანამშრომლებს, ერთი თვის განმავლობაში უნდა განაცხადონ თუ არსებობს ან მოიაზრება, რომ შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი მათ საქმიანობასთან მიმართებით კომპანიაში და ასეთ შემთხვევაში, უნდა აღწერონ კონკრეტული სიტუაცია. გარდა ამისა, ეს განცხადება მოითხოვს FCC ეთიკისა და ქცევის კოდექსის დაცვის შესახებ დეკლარაციის განმეორებით დადასტურებას.

მიუხედავად ყოველწლიური დეკლარაციისა, **იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელმა იცის** ან **ეჭვი აქვს ინტერესთა კონფლიქტის (რეალური, პოტენციური ან აღქმადი) შესაძლო არსებობის შესახებ, ის დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს** ან **მიმართოს** შესაბამისობის დეპარტამენტს **სიტყვიერად ან** aqualiacumplimiento@fcc.es **ელ.ფოსტის საშუალებით.** რეალური ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, მან ასევე უნდა აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს (იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელიც დაკავშირებულია ინტერესთა კომფლიქტის გარემოებასთან, მან თავის მხრივ უნდა აცნობოს თავის უფროსს).

გარდა ამისა, ნებისმიერი შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე, სათანადო დეკლარაცია უნდა გაკეთდეს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ, როგორც დაქირავებულებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე შერჩეულიკანდიდატების მხრიდან.

6.2.გამოვლენილი ინტერესთა კონფლიქტის მიტიგაცია

ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის შემდეგ, შესაბამისობის დეპარტამენტი განახორციელებს სათანადო შეფასებას, რათა დადგინდეს, არის თუ არა ინტერესთა კონფლიქტი რეალური, პოტენციური თუ აღქმადი, და თითოეული შემთხვევისთვის განსაზღვრავს შესაბამის სამიტიგაციო გეგმას. თითოეული შემთხვევის გათვალისწინებით, განისაზღვრება ინტერესთა კონფლიქტის რისკის მიტიგაციის გეგმა იმ იერარქიულად ზემდგომ პირთან, რომელთან დაქვემდებარებულიც არის ინტერესთა კონფლიქტის განმცხადებელი პირი.

ზოგადად, **ნებისმიერი თანამშრომელი, რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს ინტერესთა კონფლიქტმა, ვალდებულია თავი შეიკავოს ან თავი აარიდოს კონფლიქტის გამომწვევ საქმიანობას ან პროექტში მონაწილეობას და დაუყოვნებლივ განაცხადოს,** როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ.

6.3.ინტერესთა კონფლიქტის პრევენციული მიტიგაცია

Aqualia-ს შესაბამისობის მოდელი, რისკზე დაფუძნებული მიდგომით, ახორციელებს მთელ რიგ კონტროლებს, რომელიც მიზნად ისახავს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული

შესაბამისობის რისკების შემსუბუქებას. ეს კონტროლი სავალდებულოა და მას მონიტორინგს უწევს შესაბამისობის დეპარტამენტი:

- მოვალეობების სეგრეგაცია: ისეთ კრიტიკულ საქმიანობას შორის, როგორიცაა ბუღალტერია და ხაზინა.
- გარკვეული ოპერაციების ერთობლივი ხელმოწერის მოთხოვნა, როგორიცაა ხელშეკრულებების გაფორმება ან გადარიცხვების დადასტურება.
- უფლებამოსილებების შეზღუდვა ოპერაციის მატერიალურობის მიხედვით (ხელშეკრულებების გაფორმება, შეკვეთების მოთხოვნა და გადახდების განხორციელება).
- გარდა ამისა, Aqualia ახორციელებს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ პერიოდულ ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებს, რათა დაზუსტდეს ცნებები და მხარი დაუჭიროს ეთიკისა და შესაბამისობის კულტურას ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან მიმართებით.

7. ჩანაწერების და დოკუმენტების დაარქივება

ამ პროცედურით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ჩანაწერი, მათი განახლებების ჩათვლით, უნდა იყოს დაარქივებული არანაკლებ 15 წლის ვადით, რაც, მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ან ადგილობრივი შესაბამისობის ოფიცრის პასუხისმგებლობაა.

8. ფორმები

ფორმა.0 4.01 - ინტერესთა კონფლიქტის წლიური დეკლარაცია

9. დოკუმენტის ცვლილების ისტორია

ვერსია	თარიღი	განახლება	ავტორი	დამტკიცებულია
01	აპრილი 2023	ახალი დოკუმენტი	შესაბამისობის დეპარტამენტი	Aqualia-ს აღმასრულებელი დირექტორი
02	მაისი 2025	ნაწილი 3. შესაბამისობის პოლიტიკა დაემატა ნაწილი 4. მეგობარი შედის დაკავშირებული პირების ჩამონათვალში ეთიკისა და შესაბამისობის კოდექსის ახალი ვერსიის მიხედვით.	შესაბამისობის დეპარტამენტი	Aqualia-ს აღმასრულებელი დირექტორი